



2139-17-1-2-202002241540



N 17-1/2139

24/02/2020

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს,

ქალბატონ მაია ხაჯიშვილს

რეკომენდაცია

**2019 წლის 30 ოქტომბერს ქედის საგანმანათლებლო რესურსცენტრში საჯარო სკოლების
დირექტორებსა და სასულიერო პირებს შორის გამართული შეხვედრის თაობაზე**

*შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული
შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგმავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“
საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.*

ქალბატონო მაია,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა 2019 წლის 30 ოქტომბერს ქედის საგანმანათლებლო რესურსცენტრში საჯარო სკოლების დირექტორებსა და სასულიერო პირებს შორის გამართული შეხვედრის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.¹

სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის გარემოებათა სრულყოფილად შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ჩატარებული შეხვედრა არ შეესაბამება რელიგიური გაერთიანებებისგან საჯარო სკოლის დამოუკიდებლობის პრინციპს, რაც ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების მისაღწევად სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ვალდებულებაა. ამასთან, ამ ტიპის შეხვედრების ჩატარება საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესში რელიგიური ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის რისკს ქმნის.

აღსანიშნავია, რომ შესწავლის ფარგლებში გამოიკვეთა სამინისტროს შიდა აუდიტისა და ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის მიზნებისათვის გამოყენების ფაქტების გამოსავლენად პროაქტიული ზედამხედველობის აუცილებლობა.

¹ სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 06 ნოემბრის 13867/19 ოქმი.

(ა) ფაქტობრივი გარემოებები:

2019 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სხალთის ეპარქიის მიერ გავრცელდა ვიდეოჩანაწერი, სადაც ასახულია წმ. ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალისა და ამავე ეპარქიის სასულიერო პირების შეხვედრა ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების დირექტორებთან.² შეხვედრა მეტწილად მიმდინარეობდა ქრისტიანული სწავლებების ქადაგებით, წარმოაჩენდა მართლმადიდებლობის უპირატესობასა და განსაკუთრებულობას საქართველოს ისტორიაში და ამასთან, გამოირჩეოდა საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედომილობის თაობაზე რელიგიური განმარტებებით.³

შეხვედრის შემდეგ, ამავე ეპარქიის მიერ, სოციალურ ქსელში გავრცელდა სსიპ. ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ნონა გორგაძისა და იმავე მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს საჯარო სკოლის დირექტორის, მურმან კონცელიძის კომენტარები.⁴

სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ნონა გორგაძე გავრცელებულ ვიდეოჩანაწერში ამბობს: „ჩვენ, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს, გვაქვს ვალდებულება, რომ აღნიშნული სიტყვა მივიტანოთ ჩვენს აღსაზრდელებთან, ისინი დავაყენოთ სწორ გზაზე, რომ მოექცნენ და დაუბრუნდნენ ძირძველ სარწმუნოებას, თუმცა, ვფიქრობ, რომ აღნიშნული შეხვედრები, არამარტო, ზედა თანრიგის წარმომადგენლებთან უნდა ხდებოდეს. სამღვდელოება დაგვიპირდა და კარგი იქნება თუ აღნიშნული შეხვედრები გაიმართება სკოლებშიც და მოსახლეობაშიც. ჩვენ მზაობას გამოვთქვამთ საამისოდ“⁵

სოფელ დანდალოს საჯარო სკოლის დირექტორი, მურმან კონცელიძე ვიდეოჩანაწერში ამბობს: „თუ გადავხედავთ საქართველოს ისტორიას, მართლაც ყოველი კუთხიდან მოძალადებული მტრისგან უწყვეტად მოგერიება ჩვენს ქვეყანას. მთავარი როლი ჩვენი ქვეყნის გადარჩენაში ქართულმა ეკლესიამ შეასრულა, საქართველო არის ღვთისმშობლის წილხვედომილი ქვეყანა და ალბათ საქართველოს ღვთისმშობლის კალთა ფარავდა საუკუნეთა განმავლობაში. ძალიან მნიშვნელოვანია 12 მაისის ღვთისმშობლის წილხვედომილობის დღედ გამოცხადება, რამეთუ,

² საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სხალთის ეპარქიის Facebook გვერდი, ვიდეო ჩანაწერი სათაურით „ყოვლადწმიდა დედა ღვთისმშობლის წილხვედომილობასთან მიძღვნილი შეხვედრა ქედის მუნიციპალიტეტის სკოლების დირექტორებთან“ 2019 წლის 30 ოქტომბერი. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/39y3kKP> ბოლოს ნანახია 14/02/2020.

³ იქვე.

⁴ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სხალთის ეპარქიის Facebook გვერდი, ვიდეო ჩანაწერი სათაურით: „ყოვლადწმიდა დედა ღვთისმშობლის წილხვედომილობასთან მიძღვნილი შეხვედრა ქედის მუნიციპალიტეტის სკოლების დირექტორებთან. სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის დირექტორი ნონა გორგაძე“ 2019 წლის 30 ოქტომბერი. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2UORAPZ> ბოლოს ნანახია 14/02/2020; ასევე იხ. იმავე გვერდზე განთავსებული ჩანაწერი სათაურით: „ყოვლადწმიდა დედა ღვთისმშობლის წილხვედომილობასთან მიძღვნილი შეხვედრა ქედის მუნიციპალიტეტის სკოლების დირექტორებთან. მურმან კონცელიძე, დანდალოს საჯარო სკოლის დირექტორი“ 2019 წლის 30 ოქტომბერი ხელმისაწვდომია <https://bit.ly/38rQL3B> 14/02/2020.

⁵ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სხალთის ეპარქიის Facebook გვერდი, ვიდეო ჩანაწერი სათაურით: „ყოვლადწმიდა დედა ღვთისმშობლის წილხვედომილობასთან მიძღვნილი შეხვედრა ქედის მუნიციპალიტეტის სკოლების დირექტორებთან. სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის დირექტორი ნონა გორგაძე“ 2019 წლის 30 ოქტომბერი. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2UORAPZ> ბოლოს ნანახია 14/02/2020. ასევე იხ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 24 დეკემბრის MES 01901753131 წერილის დანართი, შიდა აუდიტისა და ინსპექტირების დეპარტამენტის დასკვნა, გვ. 5.

ღვთისმშობლის კიდევ უფრო მეტი მადლი გადმოვა საქართველოზე და კიდევ უფრო მოხდება საქართველოს გაძლიერება“⁶

ზემოაღნიშნული შეხვედრის ორგანიზების, ჩატარების და სხვა მსგავსი ტიპის აქტივობების თაობაზე დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა ქედის რესურსცენტრის უფროსს, ასევე სოფელ ოქტომბრისა და დანდალოს საჯარო სკოლების დირექტორებს.⁷

ქედის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ 30 ოქტომბერს რესურსცენტრის შენობაში დაგეგმილი იყო სკოლის დირექტორებთან მორიგი სამუშაო შეხვედრა მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად, თუმცა შეხვედრამდე მას დაუკავშირდა წმინდა ტბელ აბუსელიძის სახელობის უნივერსიტეტი და სთხოვა ისტორიული და დიალექტური სახელმძღვანელოს „ზედა მაჭახელი“-ის გაცნობა, რაზედაც თანხმობა განაცხადა.⁸ რესურსცენტრის უფროსის განმარტებით, შეხვედრაზე სასულიერო პირების გამოჩენა მოულოდნელობა იყო, თუმცა გარდა წიგნზე საუბრისა ღვთისმშობლის წილხვდომილობასთან დაკავშირებულ დღესასწაულზე საუბარს დიდი დრო მაინც დაეთმო.⁹

აღსანიშნავია, რომ სსიპ. ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლისა და სოფელ დანდალოს საჯარო სკოლების მიერ, ამავე საკითხებთან დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაცია მსგავსია და მეტწილად იმეორებს რესურსცენტრიდან მიღებულ ახსნა-განმარტებებს.

10

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 16 ნოემბერის მიმართვის შემდგომ, 2019 წლის 19 ნოემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შიდა აუდიტისა და ინსპექტირების დეპარტამენტმა ჩაატარა ინსპექტირება ქედის რესურსცენტრის, სოფელ დანდალოსა და ოქტომბრის საჯარო სკოლების მხრიდან რელიგიური ნეიტრალიტეტის სავარაუდო დარღვევის ფაქტების შესასწავლად.¹¹

2019 წლის 24 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინსპექტირების დასკვნის მიხედვით, ინსპექტირებისას განმარტებები ჩამოერთვა ქედის რესურსცენტრის უფროსს, დურმიშხან შავიშვილს, სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ნონა გორგაძეს, დანდალოს საჯარო სკოლის დირექტორს მურმან კონცელიძესა და ამავე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების

⁶ იქვე, გვ. 4. ასევე იხ. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სხალთის ეპარქიის Facebook გვერდზე განთავსებული ჩანაწერი სათაურით: „ყოვლადწმიდა დედა ღვთისმშობლის წილხვდომილობასთან მიმდინარე შეხვედრა ქედის მუნიციპალიტეტის სკოლების დირექტორებთან. მურმან კონცელიძე, დანდალოს საჯარო სკოლის დირექტორი“ 2019 წლის 30 ოქტომბერი ხელმისაწვდომია <https://bit.ly/38rQL3B> 14/02/2020

⁷ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 24 დეკემბრის MES 01901753131 წერილის დანართი, შიდა აუდიტისა და ინსპექტირების დეპარტამენტის დასკვნა გვ. 3.

⁸ ქედის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2019 წლის 06 დეკემბრის MES 51901670912 წერილი.

⁹ იქვე.

¹⁰ სსიპ. ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 11 დეკემბრის MES 51901702204 წერილი ასევე ამავე მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს საჯარო სკოლის დირექტორის 2019 წლის 11 დეკემბრის MES 61901701387 წერილი.

¹¹ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 15 ნოემბრის N17-1/12432 წერილი; 2019 წლის 30 ოქტომბერს ქედის რესურსცენტრში გამართული სხალთის ეპარქიის სასულიერო პირების, ასევე, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებისა და ქედის მუნიციპალიტეტის სკოლის დირექტორების შეხვედრისას, მასმედით გავრცელებული ინფორმაციის (ქედის რესურსცენტრისა და საჯარო სკოლების მხრიდან რელიგიური ნეიტრალიტეტის სავარაუდო დარღვევის ფაქტების) შესწავლის თაობაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ნოემბრის №01-11/335 ბრძანება.

პედაგოგებს.¹² დირექტორების განმარტებით, რასაც პედაგოგებიც ადასტურებენ, რაიმე სახის რელიგიური შინაარსის მოწოდებებს სკოლებში ადგილი არ ჰქონია.¹³

სამინისტროს შიდა აუდიტისა და ინსპექტირების დეპარტამენტის ინსპექტირების დასკვნაში, ასევე აღნიშნულია, რომ „შეხვედრის ერთ-ერთი მიზანი, წიგნის პრეზენტაციასთან ერთად, იყო საქართველოს შრომის კოდექსით დაწესებული ახალი დღესასწაულის [ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვედომილობის დღე] მნიშვნელობისა და არსის გაცნობა, რაც წინააღმდეგობაში არ მოდის „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებთან“.¹⁴

ინსპექტირების დასკვნა, დამატებით განმარტავს, რომ ამ მუხლით განმტკიცებული სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის, ან იძულებითი ასიმილაციის მიზნით გამოყენების აკრძალვა, არ ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნას, აგრეთვე ისეთი ღონისძიების ჩატარებას, რომელიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ.¹⁵

სამინისტროს შიდა აუდიტისა და ინსპექტირების დეპარტამენტმა გასცა დისკრიმინაციის, პროზელიტიზმის, ინდოქტრინაციისა და იძულებითი ასიმილაციის პრევენციის თაობაზე კანონშესაბამისი მითითებები, რაც სამინისტროს ტერიტორიაზე არსებულ ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას გაეგზავნა.¹⁶

ინსპექტირების პროცესში, 2019 წლის 4 დეკემბერს, სოციალური ქსელით გავრცელდა ვიდეოჩანაწერი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სხალთის ეპარქიის მიერ, რომელზეც ასახულია ამავე ეპარქიის სასულიერო პირების, ასევე საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტის პერსონალის, შეხვედრა სავარაუდოდ ხულოსა და შუახევის საჯარო სკოლების დირექტორებთან ხსენებული უმაღლესი სასწავლებლის შენობაში.¹⁷ ამ შემთხვევაშიც, შეხვედრა ღვთისმშობლის წილხვედომილობის დღის აღნიშვნას ეხებოდა და მონაწილეთათვის მიწოდებული ინფორმაცია მეტწილად კონფესიური შინაარსის იყო.¹⁸ ღონისძიების მონაწილე სასულიერო პირებმა გამოხატეს მადლიერება სხვადასხვა საჯარო პირის, მათ შორის ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელების, მიმართ ამ და სხვა მსგავსი შეხვედრების ორგანიზებისათვის.¹⁹

¹² აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 24 დეკემბრის MES 01901753131 წერილის დანართი, შიდა აუდიტისა და ინსპექტირების დეპარტამენტის დასკვნა გვ. 3.

¹³ იქვე, გვ. 6.

¹⁴ იქვე, გვ. 7.

¹⁵ იქვე, გვ. 6 ასევე იხ. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებული 2005 წლის 08 აპრილს მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი, 2019 წლის 29 ნოემბრის მდგომარეობით.

¹⁶ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 24 დეკემბრის MES 01901753131 წერილის დანართი, შიდა აუდიტისა და ინსპექტირების დეპარტამენტის დასკვნა გვ. 7-8.

¹⁷ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2020 წლის 13 იანვრის N105-17-1 I ოქმი. ასევე იხ. 2019 წლის 04 დეკემბერს გავრცელებული შეხვედრის ვიდეოჩანაწერი სათაურით: „ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრობისადმი და საქართველოს კათალიკოს პატრიარქის თანადგომისათვის მიძღვნილი ღონისძიება. შეხვედრა ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების დირექტორებთან. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი. სხალთის ეპარქია. ხიჭაური.“ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/31TwtO1> ბოლოს ნანახია: 14/02/2020.

¹⁸ იქვე.

¹⁹ იქვე.

(ბ) სამართლებრივი შეფასება:

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, რელიგიური პლურალიზმის უზრუნველყოფისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა რელიგიებთან მიმართებით ნეიტრალიზმისა და მიუკერძოებლობის დაცვის ვალდებულება.²⁰

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „კონსტიტუცია მიზნად ისახავს, სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონალურ გამიჯვნას რელიგიური დაწესებულების საქმიანობიდან“.²¹

ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად გარანტირებულია რელიგიური გაერთიანებებისგან საჯარო სკოლის დამოუკიდებლობა.²² აღნიშნული ნორმა, ზოგადი განათლების სფეროში, განამტკიცებს სეკულარიზმის კონსტიტუციურ პრინციპს.²³ მისი მიზანია რელიგიური გაერთიანებებისა და სახელმწიფოს ფუნქციური, მკაფიო გამიჯვნა, რაც კრიტიკულად აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობისთვის.

ამასთან, ზოგადი განათლების სახელმწიფო პოლიტიკის მიზნები მიმართულია მოსწავლის სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისკენ.²⁴ სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ხსენებული მიზნების მისაღწევად, რელიგიური გაერთიანებებისა და საჯარო სკოლების კანონისმიერი გამიჯვნის პრინციპი, სეკულარიზმის ზოგადი ვალდებულებიდან გამომდინარე, ფართოდ უნდა განიმარტოს.

სასკოლო სივრცეში მოსწავლეებისთვის განათლების მიცემისას რელიგიური ნეიტრალიტეტის მნიშვნელობას, ევროპულმა სასამართლომ განათლების უფლების ძირითადი პრინციპების განსაზღვრისას გაუსვა ხაზი და დაადგინა:

„განათლების სფეროში თავისი ფუნქციების განხორციელებისას, სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს, რომ კურიკულუმში შემავალი ინფორმაციის მოსწავლეებისათვის გადაცემა მოხდეს ობიექტური, კრიტიკული და პლურალისტური გზით, რაც მათ საშუალებას მისცემს განივითარონ კრიტიკული აზროვნება[...]მშვიდ, ყველანაირი პროზელიტიზმისგან დაცლილ ატმოსფეროში. სახელმწიფოს ასევე ეკრძალება, სასკოლო განათლების სფეროში ინდოქტრინაციის მიზნით ქმედებების განხორციელება[...]“²⁵

ნათელია, რომ ინსტიტუციურად საჯარო სკოლისკენ მიმართული არასეკულარული ღონისძიება ახალისებს სასკოლო სივრცის აფილაციას კონკრეტული რელიგიური ჯგუფისადმი.

²⁰ *Overview of the Court's Case-Law on Freedom of Religion*, European Court of Human Rights, Research Division, 2013 p. 7.

²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის N618/1/1 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი კვეკელი, ნინო კვეტენაძე და ზესიკი გვენეტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

²² „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღებული 2005 წლის 08 აპრილს, 2019 წლის 19 აპრილის მდგომარეობით მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის N618/1/1 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი კვეკელი, ნინო კვეტენაძე და ზესიკი გვენეტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

²⁴ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღებული 2005 წლის 08 აპრილს, 2019 წლის 19 აპრილის მდგომარეობით მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

²⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *LAUTSI AND OTHERS v. ITALY*, პარ. 62.

სახალხო დამცველის შეფასებით, მასწავლებელთა/სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან უშუალოდ სასწავლო პროცესში რელიგიური ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის გამოყენებისათვის საქართველოში საკმაოდ ნაყოფიერი ნიადაგია შექმნილი.²⁶

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2018 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ გამოკითხული მასწავლებლების 48%-ს მონაწილეობა არ აქვს მიღებული ადამიანის უფლებების შესახებ, ან ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ ტრენინგში.²⁷ კვლევის შედეგების მიხედვით, ადამიანის უფლებათა საკითხებზე მასწავლებელთა ინფორმირებულობის დონე საკმაოდ დაბალია.²⁸

ზოგადი ვითარება ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის მიერ 2016 წელს გამოქვეყნებული კვლევა, რომლის მიხედვით მოსწავლეების ინდოქტრინაციისა და მარგინალიზების პროცესში უშუალოდ არიან ჩართულები სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები, რომელთა შორისაც განსაკუთრებით გამოყოფენ ქართულისა და ისტორიის პედაგოგებს. კვლევაში მოყვანილია არაერთი მაგალითი, კერძოდ სკოლის მოსწავლეების გამონათქვამები იმის თაობაზე, რომ *„ისტორიის გაკვეთილზე ქრისტიანობას აქებენ, ხოლო ისლამს მახვილითა და მოთრეულ რელიგიას უწოდებენ“*, ასევე *„კლასში ხშირად ხდება რელიგიურ თემაზე დისკუსია. ამ დროს, ხშირად იყენებენ ისეთ ფრაზებს, რაც რეალობასთან ახლოსაც კი ვერ მიდის და ისლამს შეურაცხყოფას აყენებს“*.²⁹

ზემოხსენებულ კვლევებში მოცემული გარემოებების გათვალისწინებით, სახალხო დამცველი თვლის, რომ 2018-2019 წლის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლებში რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპის, ასევე **სასწავლო პროცესის რელიგიური პროზელიტიზმისა და ინდოქტრინაციის მიზნით გამოყენების გამოვლენის ნულოვანი მაჩვენებელი მაღალი ალბათობით შესაძლოა მიუთითებდეს არა მსგავსი ფაქტების რეალურ არარსებობაზე, არამედ სამინისტროს მიერ მათი პროაქტიული გამოვლენის მიზნით გატარებულ არასაკმარის ძალისხმევაზე.**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განსაკუთრებით პრობლემურია არსებითად კონფესიური შინაარსის მქონე შეხვედრის ჩატარება ქედის საგანმანათლებლო რესურსცენტრის შენობაში. ნათელია, რომ რესურსცენტრმა შეხვედრის დაგეგმვის ეტაპზე არ გამოავლინა სათანადო გულმოდგინება საჯარო სკოლების რელიგიური ნეიტრალიტეტის დასაცავად.

ამასთან, სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ შეხვედრის შემდეგ გაკეთებული კომენტარის როგორც სიტყვასიტყვით, ისე კონტექსტური ანალიზი გამოხატავს მის პოზიციას, რომლის მიხედვით საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულიაა მოსწავლეები **„სწორ გზაზე“** დააყენოს იმისთვის, რომ ისინი **„მოექცნენ და**

²⁶ „საქართველოს ყოვლადწმიდაღვთისმშობლის წილხვდომილობის დღესასწაულთან დაკავშირებით, საჯარო სკოლების მასწავლებლებისთვის სალექციო ციკლის ორგანიზებისა და ჩატარების თაობაზე“ საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 29 ნოემბრის 17-1/12888 წინადადება, გვ. 4.

²⁷ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის კვლევა „ადამიანის უფლებების სწავლებისა და სასწავლო გარემოს შესახებ ზოგად საგანმანათლებლო სივრცეში“, თბილისი 2018 გვ. 35.

²⁸ იქვე, გვ. 34.

²⁹ ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის კვლევა „რელიგიის თავისუფლება, სახელმწიფოს დისკრიმინაციული და არასეკულარული პოლიტიკის კრიტიკა“, თბილისი 2016, გვ. 145, გვ. 148.

დაუბრუნდნენ ძირძველ სარწმუნოებას“³⁰ აქვე, დირექტორი ამბობს, რომ „*სამღვდელოება დაგვიპირდა და კარგი იქნება თუ აღნიშნული შეხვედრები გაიმართება სკოლებშიც...ჩვენ მზაობას გამოვთქვამთ საამისოდ*“³¹

საჯარო სკოლის დირექტორის ხედვა და პოზიციები, რომელიც კანონის საფუძველზე მათ შორის, სასწავლო-საადმინისტრაციო პროცესის ზედამხედველობასაც ახდენს, შემამფოთებელია, რადგან მიმართულია საჯარო სკოლის რელიგიური ნეიტრალიტეტის შესაძლო ხელყოფისაკენ. ამასთან, დირექტორის ადმინისტრაციული ფუნქციების გათვალისწინებით, იქმნება სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის მიზნით გამოყენების სერიოზული რისკი.

სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსი, რომლის დაცვა მას მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების მიმართ მოეთხოვება, კრძალავს საჯარო სკოლის დირექტორის მიერ რელიგიური პროპაგანდის გაწევას.³²

მართალია, აუდიტის დასკვნის მიხედვით, ხსენებული სკოლების პედაგოგთა მიმართ დირექტორის ეთიკის კოდექსის მოყვანილი დებულების ხელყოფა არ დადასტურდა,³³ თუმცა უშუალოდ სასკოლო გარემოში რესურსცენტრში ჩატარებული ღონისძიების განგრძობადი გავლენისა და დირექტორის მიერ ეთიკის კოდექსით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების სრულფასოვანი შეფასებისთვის, აუცილებელი იყო ინსპექტირების ფარგლებში მოსწავლეთა პოზიციების გამორკვევაც.

აუდიტისა და ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ დასკვნასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველი დამატებით განმარტავს, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის გათვალისწინებულ საჯარო სკოლების რელიგიური გაერთიანებებისაგან დამოუკიდებლობის პრინციპს ავტონომიური შინაარსი, დანიშნულება და შეფასების ფარგლები გააჩნია. ცხადია, საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის გამოყენება რელიგიური ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის მიზნებისათვის, ასევე ხელყოფს ზემოხსენებულ პრინციპსაც, თუმცა არ ამოწურავს მის შინაარსობრივ მოცულობას. **სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საჯარო სკოლების დამოუკიდებლობა რელიგიური ორგანიზაციებისგან არ უნდა განიხილებოდეს ერთგვარ დამხმარე ნორმად, ვინაიდან მისი მნიშვნელობა განუზომლად დიდია დემოკრატიული საზოგადოებისათვის.** ამავე კონტექსტში, აუცილებელია გაირკვეს 2019 წლის 4 დეკემბერს გამართული შეხვედრის ორგანიზებაში ხულოსა და შუახევის რესურსცენტრების, ასევე ამ მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების დირექტორთა მონაწილეობის საკითხი. უმნიშვნელოვანესია, შესაბამის საჯარო სკოლებში ინსპექტირების ჩატარება, რომლის ფარგლებშიც შეფასდება ღონისძიებაზე გაჟღერებული რელიგიური შინაარსის განგრძობადი ზეგავლენა სასწავლო პროცესის ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის, ან იძულებითი ასიმილაციის მიზნით გამოყენებისა და საჯარო სკოლების რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვის კუთხით.

³⁰ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 24 დეკემბრის MES 01901753131 წერილის დანართი, შიდა აუდიტისა და ინსპექტირების დეპარტამენტის დასკვნა გვ. 5.

³¹ იქვე.

³² „სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს 80/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მესამე მუხლის მე-12 პუნქტი.

³³ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 24 დეკემბრის MES 01901753131 წერილის დანართი, შიდა აუდიტისა და ინსპექტირების დეპარტამენტის დასკვნა, გვ. 6.

დასკვნა

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ 2019 წლის 30 ოქტომბერს ქედის საგანმანათლებლო რესურსცენტრში ადგილობრივი საჯარო სკოლების დირექტორებისათვის ჩატარებული შეხვედრა არ შეესაბამებოდა საჯარო სკოლების რელიგიური გაერთიანებებისაგან დამოუკიდებლობის კანონისმიერ პრინციპს. ამასთან, სამინისტროს მიერ ჩატარებული ინსპექტირების ფარგლებში, სათანადოდ არ იქნა შეფასებული შეხვედრაზე გაჟღერებული შინაარსის განგრძობადი გავლენა სასწავლო პროცესზე, რაც 2019 წლის 4 დეკემბრის შეხვედრითაც დასტურდება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს

- სამოქმედო ტერიტორიაზე განახორციელოთ პროაქტიული ზედამხედველობა საჯარო სკოლების რელიგიური ნეიტრალიტეტის ხელყოფის, ასევე სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმისა და იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენების ფაქტების გამოვლენისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით;
- ჩატარდეს ინსპექტირება ხულოსა და შუახევის რესურსცენტრებში, 2019 წლის 4 დეკემბერს გამართული შეხვედრების ორგანიზებაში მათი მონაწილეობის ხარისხის დასადგენად. ასევე, იმ საჯარო სკოლებში, რომელთა დირექტორების მონაწილეობა დადასტურდება შეხვედრაში, რათა დადგინდეს ღონისძიებაზე გაჟღერებული რელიგიური შინაარსის განგრძობადი გავლენა საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესზე.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი რეკომენდაცია და პასუხი მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით განსაზღვრულ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია



სახალხო დამცველი

